# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 233

ქალაქი ქუთაისი 27 სექტემბერი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი** 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №225-№227 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი** 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი** 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 74
26 09 2023 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 27 სექტემბრის
№233 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | სარეგის-ტრაციო ნომერი | საწყისი სა-პრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირო-ბით ან უპი-რობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 225 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, კოტე მესხის ქუჩა, №24ა-ს ჩრდილო–დასავლეთით | 112.00 | 03.01.23.896 | 55.0 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობოდ | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 226 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, მიხეილ ბუხაიძის ქუჩა, №2-ის სამხრეთით | 101.00 | 03.01.22.701 | 190.0 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობოდ | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 227 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა–ნაგებო-ბით | ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №108 | მიწა – 1478.00 კვ.მ. შენობა–ნაგებობა №1-№5 | 03.04.30.444 | 307 100.00 | უპირობოდ | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია